

ENPARD-4: სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.02.2023 - 30.11.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის
წვლილი: € 2 250 000



Funded by the
European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის
ვებსაიტები: undp.org/georgia/projects/enpard-4

პროექტის აღწერა:

პროექტი ENPARD-4 ხორციელდება ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და ქმნის შესაბამის გარემოს მდგრადი განვითარებისთვის ადამიანებისა და პლანეტის საკეთილდღეოდ. პროექტი მეოთხე ფაზა ხორციელდება საქართველოს ოთხ რეგიონში - კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და გურიაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაბალანსებულ და ინკლუზიურ მრავალსექტორულ განვითარებას და სოფლად ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის ხელშეწყობას.

ENPARD-4 ხორციელდება მრავალრიცხოვან პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში. მათ შორისაა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის განვითარების სააგენტო, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი.

მოსალოდნელი შედეგები:

სოფლის განვითარების მმართველობის სისტემის გაუმჯობესება შესაბამისი პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების გზით.

სოფლად სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის განვითარებაში ქალთა როლის გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის უზრუნველყოფა.

ტყის რესურსების მდგრადი მართვა, გარემოს დაცვის გაუმჯობესება და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზომების გატარება.